ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15232374**

თარიღი:**25/08/2023**

მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა განახორციელოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №82-ში, №05.26.02.147 საკადასტრო კოდით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე №1, №2, №3 და №4 კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ.

2. მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის კონკრეტული ბინები განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარებული ლოტოტრონის საფუძველზე, თანახმად დანართისა.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი